ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 248 ნოემბერი 17, ოთხშაბათი 1893 ნოემბერი 17, ოთხშაბათი № 248

გაზეთი ღირს

თთვე	მან.	კ.	თთვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	75
9 . . .	8	—	3 . . .	3	50
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია ში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

„ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისს გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІА“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 17 ნოემბერს,
ბენეფისი
ვ. ა. აბაშიძისა
ქართულ დრამატიულ საზოგადოების
დასის-მიერ
ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა და ვ. ს. ალექს. მესხიევის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება:

I

შეშლილია

დრ. 3 მოქმედ., გად. ვ. აბაშიძისა

II

დაქცეული ოჯახი

კომ. 3 მოქ. სუნდუკიანცისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, მაქსიმიძისა და სხვ. ბბ. აბაშიძე, ალ. მესხიევი, გუნია, სვიმონიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 7½ საათზედ

დაიბეჭდა და ისყიდება
კედლის ქართული
კალენდარი
1894 წლისა
შედგენილი გრ. ჩარკვიანის-მიერ
(მეექვსე წელიწადი)

კალენდარი ისყიდება იზმიროვის მემკვიდრის ს. მ. ლაზრიევის მაღაზიაში, წიგნების გამომც. ამხან. პავილიონში, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების მაღაზიაში და აგრედვე პროვინციებში ქართულ წიგნების მოვაჭრეებთან.

ფასი ყველგან ორი აბაზი.

(3—3)

---

10 დეკემბერს ამა 1893 წლისას დანიშნულია ქუთაისში

საზოგადო კრება

ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა, ამავე ბანკის სადგომში განსახილველად იმ მორიგის საქმეებისა, რომელიც მაისის კრების შეწყვეტის გამო განუხილველი დარჩა. ეს საქმეებია: არჩევანი ზედამხედველ კომიტეტის წევრთა, ბანკის გამგეობის თავმჯდომარისა და გამგეობისავე წევრთა კანდიდატებისა.

თავმჯდომარე ზედამხედველის კომიტეტისა და საზოგადო კრებისა თავადი
ალექსანდრე წულუკიძე

(3—2)

ტფილისი, 17 ნოემბერს

დასავლეთ ევროპაში საკვირველის სისწრაფით ვრცელდება მდაბიო ხალხში განათლება. უბრალო კაცის გონება დღითი-დღე ვითარდება, ჭკუა იწვრთნება, მისის ცოდნის საუნჯე მატულობს. ისეთს მივარდნილ სოფელს ვერ იპოვნი, თუნდ სადმე დაბურულს ტყეში, ან სადმე მთის მწვერვალზე, რომ სასოფლო სკოლას ვერ შეხვდე და არ დასტკბე მისის ნახვით. სკოლა სოფელში საუკეთესო შენობაა, მისი მოწყობა და გაუმჯობესობა ყველა სოფლელისათვის, დიდია თუ პატარა, უპირველესი განუწყვეტელი საზრუნავია.

სკოლისთვის ზრუნავს მამაშვილურად როგორც სოფელი, აგრედვე მთავრობა. ეს ორი დაწესებულება ერთი ერთმანერთს ეცილებიან, თითქოს ჯიბრობენ, რომელი უფრო მეტს ხალისს გამოიჩენს და მეტს დახმარებას გაუწევს. ამისათვისაც იქაური სკოლა შემკობილია ყველაფრით: მშვენიერის შენობით, საკლასო და სამოსწავლო ნივთებით, მუზეებით, ბიბლიოთეკებით და სხვ.

ევროპიელი მარტო პირველ დასაწყისს განათლებას არა ჰკმარობს, უმაღლესი სწავლაც უნდა შეიძინოს. რადგან შეუძლებელია, რომ ყველა სოფელმა აიშენოს უნივერსიტეტი და იყოლიოს პროფესორები, ამიტომ შემოიღეს მოძრავი უნივერსიტეტები. თუ სოფლელს არ მიუწვდება ხელი უნივერსიტეტამდე, თვით უნივერსიტეტი მიდის სოფელში და ავრცელებს სწავლას ხალხში.

კაი ხანია, რაც შვეცია-ნორვეგიამ შემოიღო საგლეხო უნივერსიტეტები; ინგლისმაც მიჰყო ხელი ამ საქმეს და ლამის ყველას გადააჭარბოს ამ საგნის განხორციელებაში. ჯერ ოკსფორდისამ და მერე სხვა უნივერსიტეტებმაც დაიწყეს სოფლად და ქალაქად გზავნა თავიანთ პროფესორებისა, რომელთაც ვალადა სდევთ წაიკითხონ რომელისამე საგნის კურსი. გაჩნდება ასეთი პროფესორი, ერთი ან რამდენიმე, რომელსამე მიყრუებულ ქალაქში, ან სოფლად და საღამ-სადამოობით გაჰმართავს ლექციების კითხვას. მსმენელნი ბლომად იკრიფებიან ლექციებზე და ასე ამ გვარად ეძლევათ საშუალება მოისმინონ უმაღლესი კურსი რამდენისამე საგნისა, განსაკუთრებით ლიტერატურისა, ისტორიისა, საპოლიტიკო ეკონომიისა, ქიმიისა და სხვა.

ამ ჟამად გერმანიაში, მომეტებულად კი პრუსიაში, ერთსაც ვერ იპოვნით, რომ წერა-კითხვა არ იცოდეს და რამდენიმე წელიწადი არ გაეტარებინოს სოფლისა, ან ქალაქის სკოლაში. ყმაწვილი ვალდებულია შვიდი-რვა წლიდან ცამეტ-თოთხმეტ წლამდე უსათუოდ სკოლაში იაროს და მხოლოდ შემდეგ შეუდგეს თავის ხელობას ლუკმა-პურის შოვნისათვის. მაგრამ გერმანელი ამას არა ჰკმარობს: ღარიბის დედ-მამის შვილი, თოთხმეტის წლიდან მოყოლებული თვრამეტ-ოც წლამდე, ვიდრე დავაჟკაცდება, იძულებულია მოაკლდეს სწავლას, მაშინ როდესაც შეძლებულ დედ-მამის შვილნი გიმნაზიებსა და უნივერსიტეტებში ამთავრებენ განათლებას. ამ ნაკლულევანების თავიდგან ასაშორებლად ბერლინის თვითმმართველობამ ორი მილიონი მარკა კიდევ გადასდო და საღამ-სადამოთი კურსებსა ჰმართავს, რომ მუშაობის შემდეგ ყმაწვილს შეეძლოს სწავლა შეიძინოს, არ მოსწყდეს განათლებას და კვლავ გაიხსენოს ნასწავლი ცოდნა და შეიძინოს ახალი. კურსებს გარდა იმართება კლუბები, განსაკუთრებული დარბაზები, სადაც ყმაწვილნი კაცნი დროს გონივრულად ატარებენ: კითხულობენ გაზეთებს, წიგნებს, სწავლობენ მუსიკას, გალობას, თამაშობენ ბილიარდს და ხშირად ლაზათიანადაც ჰცეკვავენ. რა თქმა უნდა, რომ ასეთ დარბაზებთან საუცხოვოდ არის მოწყობილი სახალხო ბიბლიოთეკებიც.

ერთი უბრალო მაგალითი ცხადად გვიჩვენებს, რა ხალისს იჩენს მდაბიო ხალხი გერმანიაში გონივრულის გართობისას. ერთს მიყრუებულ სოფელში, სილეზიაში, ამ ორის წლის წინად სოფლელებს გაუმართავთ თავიანთი თეატრი, სადაც თამაშობდნენ საკუთარ პიესებს. აქტიორები იყვნენ იმავე სოფლის მკვიდრნი. სასიამოვნო და თან სასაცილო იყოვო მათი ცქერა, ამბობს ამ თეატრის მნახველი. მენახირე, ან მეღორე დიდის გატაცებით თამაშობდა პირველ არშიყის როლს, თვრამეტის წლის მჭედელი—დარბაისელ მოხუცს. სოფლისავე დედაკაცი, რომელიც ძროხების წველაში ატამებდა დღეს, დიდის მოხერხებით ასრულებდა არშიყის ქალის როლსა და სხვ.

ბოლოს გაჩნდა ერთი მოხერხებული „ანტრეპრენერი“ და წაიყვანა დასი ბერლინში. მთელი ბერლინი მიაწყდა ამ საკვირველ თეატრს და გაავსო ფულით ახირებული ანტრეპრენერი.

პიესების შინაარსი, რასაკვირველია, მარტივია, სანტიმენტალური; უსათუოდ კეთილი იმარჯვებს და სთრგუნავს ბოროტს, მაგრამ საქმე ხომ ამაში არ არის. სოფლელი იმდენად განათლდა და განვითარდა, რომ თვითონვე ახერხებს გონივრულად დააკმაყოფილოს თვისი ესტეტიკური მოთხოვნილება. რაღა თქმა უნდა, ასეთი სოფლელი დუქანში აღარ წავა, ღვინოში თავს აღარ ჩაირჩობს და სასმელისთვის ტანთსაცმელს არ დააგირავებს.

ცოტად თუ ბევრად რუსეთიც ჰბაძავს ევროპას. ყველაფერში უკან ჩამორჩენილმა რუსეთის გლეხმაც შეიგნო სწავლის მნიშვნელობა და თავის შეთხელებულ ჯიბიდამ იღებს ორიოდე გროშს, რომ ბიბლიოთეკები დაიარსოს და წაიკითხოს რამე.

ერთმა სამამასახლისომ ამ სამის წლის წინად სამი მანათი გადასდო ბიბლიოთეკის დასაარსებლად. ამ ამბავს მთელი რუსეთი სიხარულით მიეგება. დღესაც ორლოვის გუბერნიის კრომის მაზრის რამდენსამე სამამასახლისოს ორმოცდა-ათ-ათი მანეთი გადაუდვია საერო სკოლებთან ბიბლიოთეკების დასაარსებლად და დაუდგენია, ყოველ წელიწადს თხუთმეტ-თხუთმეტი მანეთი მოვახმაროთ ბიბლიოთეკის შევსებასაო.

ჩვენში? ძალიან ვკოჭლობთ ამ მხრივ და მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ ჩვენი უნუგეშო მდგომარეობა. ჩვენს ხალხს უყვარს წერა-კითხვა, ნიჭი არ აკლია ბუნებრივი, დიდ პატივსა სცემს ნასწავლს კაცს და არა შურს-რა, ოღონდ ისწავლოს რამე. ვინ არ იცის, რომ ხშირად ჩვენებური კაცი თავის შვილს ხუთის წლით აბარებს უცხო ოჯახში მოსამსახურედ, ოღონდ „წიგნი“ ასწავლონ. მაგრამ ბევრი გარემოება უშლის ხელს მკვიდრ საფუძველზედ დადგეს ჩვენში სწავლა-ცოდნის გავრცელების საქმე და ბიბლიოთეკები მრავლად დაარსდეს.

პირველი მიზეზი ისაა, რომ ჩვენებური ყმაწვილი, თუ ეღირსა სკოლაში სიარული, ოთხხუთს წელიწადსა სწავლობს იქ და მაინც ძალიან მცირე ცოდნას იძენს. სახელმწიფო ენის შესწავლას ანდომებს თავის უმთავრესს და ნორჩს ძალ-ღონეს, რიგიანად ვერც ამ ენას ითვისებს და თავისასაც კარგად ვერა სწავლობს. ასეთს ბავშვს, ჩვენის აზრით, ძალიან მცირედ უნდა ჰქონდეს გაღვიძებული ხალისი სწავლის განგრძობისა ბიბლიოთეკების შემწეობით.

მაინცა და მაინც ბიბლიოთეკები უკეთესი საშუალებაა, რომ ბავშვმა ისიც არ დაივიწყოს, რაც შეიძინა სკოლაში. ამისათვის ამ საგნის კეთილად მოწყობას დიდი მხნეობა და მეცადინეობა უნდა, დიდი სიფრთხილე და სიყვარული ეჭირვება, ბევრგან საზოგადოება თანაგრძნობას უწევს ამ კეთილ საქმეს და დახმარებას არ აკლებს. მაგრამ ეს არა კმარა.

ამ უკანასკნელ დროს ტფილისის გუბერნიაში ნასწავლ მამასახლისებს ირჩევენ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს განათლებული სოფლის მოხელენი იმით მაინც აჯობებენ წინანდელებს, რომ ამისთანა საქმეს გაუძღვებიან და რუსეთის გაუნათლებელ მამასახლისებს უკან არ ჩამორჩებიან. სასოფლო ბიბლიოთეკების დამართვა სრულიად იმათ ხელშია, დამშლელი არავინ გაუჩნდება. სხვა მძიმე მოვალეობათა შორის, რომელიც ასეთის ნდობით ჩააბარა ნასწავლ კაცებს ჩვენმა დაჩაგრულმა სოფელმა, უეჭველია, ჩვენი ახალი მამასახლისები ბიბლიოთეკების დამართვასაც არ დაივიწყებენ.

ა. ფრონელი

ახალი ამბავი

⁂ დღეს ქართულ თეატრში ბენეფისია ჩვენის ნიჭიერის და საყვარელის არტისტის ვ. აბაშიძისა. საბენეფისოდ დანიშნულია ორი პიესა: სუნდუკიანცის კომედია „დაქცეული ოჯახი“, რომელშიაც ითამაშებენ თვით მობენიფისე და ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა და დრამა „შეშლილია“, რომელშიაც ითამაშებს ამ სეზონისთვის მოწვეული ჩვენი ცნობილი არტისტი ვ. ალექსი-მესხიშვილი. წარმოდგენა მით უფრო საინტერესო იქმნება, რომ ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა და ვ. ალექსი-მესხიშვილი ამ სეზონში პირველად ითამაშებენ ქართულ თეატრის სცენაზედ.

⁂ 20 ნოემბერს, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის ოლქის სასამართლოს დარბაზში დანიშნულია კრება საიურიდიო საზოგადოებისა. კრება განიხილავს: საადმინისტრაციო საგნებს; ანგარიშს ხაზინადარის ი. კ. სავიცკისას, ბიბლიოთეკარის ა. მ. ოოფჩიბაშევისას და მდივნის ა. ს. ფრენკელისას. ამავე კრებაზედ არჩეულ უნდა იქმნან საზოგადოების მოხელენი 1894 წლისათვის.

⁂ ყარაიაზი: 12 ნოემბერს 9 საათსა და 30 წ. დაეცა სამი შეიარაღებული კაცი რკინის გზის და-

რაჯს, რომელსაც წაართვეს 90 მანათი ფული და ვერცხლის ქამარი.

⁂ ყვირილა: 14 ნოემბერს, დღისით, 3 ს. 10 წ., როდესაც სახალხო მატარებელი № 1 დაიძრა, ერთი ვაგონი გადასცდა ლიანდაგს; ხალხი შეშინდა, აირივ-დაირია; გადმოხტომის დროს ვაგონებ შუა ჩავარდა მგზავრი, ტფილისის გუბერნიის მცხოვრები პეტრე კუბაევი და მარჯვენა ფეხი ძლიერ დაუშავდა.

⁂ გორი: 15 ნოემბერს ღამის 2 საათზე 55 წ. იპოვნეს მარცხენა ფეხ-მოწყვეტილი კონდუქტორი ანდრია სამაკოვი, რომელიც ისე ძლიერ დასუსტებული იყო, რომ ლაპარაკი არ შეეძლო და ვერა სთქვა, თუ როგორ შეემთხვა ეს უბედურება. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

დამაკვირდი

კაცი ჭკუიანია იმ დრომდე, ვიდრე ცოდნას ეძებს; როდესაც წარმოიდგენს, რომ ვაპოვნეო, სწორედ მაშინ იშლება ჭკუიდგან.

არაბული ანდაზა.

**

მეცნიერთა მელანს ღმერთი ისევე აფასებს, როგორც წამებულთა სისხლს.

მაჰმადი.

**

შენი წარსული მაამბე და მერმისს მე გიწინასწარმეტყველებ.

კონფუცი.

აჭარა

აჭარის აღმოსავლეთით სძევს ზეგანი, არდაგან ყარსის მიდამოებითურთ. დასავლეთით აჭარას შავი ზღვა უძევს, სამხრეთით ლივანა და ჩრდილოეთით ბეთლემის ხეობა. აღმოსავლეთიდამ აჭარა იწყება შუა, ხევს ქვემოდ და დასავლეთით მიემართება კახაბერის მინდვრებამდე; კახაბერი ბათუმიდამ ათის ვერსის მანძილზე სძევს.

მთელი აჭარა სიგძე-სიგანით მოფენილია მაღალის ტყიანის მთებით. მთების შუა მეტად დაბალი ვიწრო და ღრმა ხევ-ღელეებია, შემოსილი აგრეთვე დაბურულის ტყით. ხშირად ასეთი ხევ-ღელენი სრულიად ჩაბნელებულია და მზის სხივი ვერ სწვდება რიგიანად. ბევრს ალაგას ისეთი მაღალი მთებიც არის, რომ ხეები ვეღარ იზრდება და მხოლოდ მუდამ მოტიტვლებულია და ბალახით მოსილი. მრავალია კიდევ მეტად მაღალი და სალი კლდეები ლივანისკენ. ამათი დანახვა საშიშია მგზავრისათვის, რადგან ბევრგან ძალიან მაღლა აღზიდულა და მორღვეულა, ხოლო ძირს მრავლად ჰყრია დიდრონი ქვები. ხშირად მორღვეულა ასეთი კლდეები და ქვეშ დაუტანია მგზავრი, მთელი ოჯახი და ხან რამდენიმე ოჯახიც დაუღუპნია ერთად. 1751 წ., მაგალითად, მაჰხელში „კლდე კრკვინაბ“-მა 25 კომლი ჰჩანთქა და ერთი ძველი ნაეკკლესიარი ჯამე. აჭარის ტყეებში იპოვება: კაკალი, წაბლი, თხილი, ბევრ ალაგას ხურმის ხეები, ლეღვი, ვაზი, წყავი, მსხალი, ვაშლი და სხვა ხეხილი. ბევრია კატარი, აქაიქ ნაძვი, წიფელა, რცხილა, ბზა და სხვანი. ბალახეული საკმარისად ბევრია, თუმცა ისე-კი არა, როგორც მურღულში, ბეთლემში და სხალტბსკენ. აქაც ხილი უფრო ადრე მწიფდება, ვიდრე სხვაგან აქეთ ქვეყანაში. ტყეები და საბალახო ადგილები აქ მარტიდამ იწყებენ ამწვანებაყვავებას და ღვინობისთვის გასვლამდე მწვანით არის შემოსილი. ნაძვი, კატარი და ზოგიერთს მაღალ ბლახსა და დიდრონს ჯაგებსაც-კი ზამთარშიაც მწვანედ გააქვთ ღალანი. უმეტესი ნაწილი აჭარისა და ნამეტურ მაღლის მთა-გორაკებისა სულ გაკაფულია ძველადგანვე და საყანე ადგილებათ არის გადაქცეული. ტყეები-კი ისეთია, რომ შიგ პირუტყვს თავისუფლად ვერ შეუძლიან სიარული: ჯერ გზების სივიწროვის გამო და მეორე ნადირის შიშით. ამიტომ აქეთკენ საქონელი ისე ვერ მრავლობს, როგორც სხვაგან, რადგანაც აქ საბალახე ადგილები ერთობ ცოტაა. სოფლის საქონელს არდაგანის, ყარსის და ზედნის მთებზე მიერეკებიან საძოვრად.

აქაური ხალხი მისდევს ხვნა-თესვას, უმეტესად სიმინდს სთესენ და აქა-იქ პურსაც; პურს ცოტას სთესენ, ადგილები-კი ისეთია, რომ აქ უფრო პური მოვა, ვიდრე სიმინდი; სიმინდის მოყვანა უფრო ეადვილებათ. სიმინდი აქ ისე მაღალი არ იცის, როგორც იმერეთში, ან გურიაში. უფრო ქართლის სიმინდს ჰგავს. პური უფრო მახობლიანია. ქრისტიანობის დროს აჭარაში ხალხი უფრო პურსა სჭამდაო. მაშინდელი თონეები აქაიქ დღესაც არის. დღეს სიმინდს, თუ პურს კეცებში აცხობენ. ლობიოსაც სთესენ აქ. სხვა რამ ზამთრის სარჩოს მოყვანა და შენახვა აქ არ იციან; ხილის გახმობა, ჩირად კეთება, ან ტყლაპების კეთება არ იციან. დანდური, ჯინჯარი და ღოლო-კი იციან, მინდვრის სოკო და აქა-იქ სატაცურიც მოდის, მაგრამ არ სჭამენ: მაჰმადის სარწუნოებას ამაების ჭამაც დაუვიწყებია. შერჩენიათ მარტო ლობიო და მხალი. ამასაც უხეიროდ ამზადებენ.

პირუტყვის მოშენებასაც მცირედ მისდევენ, რიგიანის ყველის კეთება აქეთ არ იციან. ერბოს აკეთებენ. შინაურ ფრინველის მოშენებაც მცირედ არის გავრცელებული; თითო ოჯახს 5 ქათამზე მეტი არ ეყოლება, 10 ქათამი იშვიათია; ბატი, ინდოური და იხვიც იშვიათია, თითქმის სულ არ არის. ხულოში და ქედაში მხოლოდ სამს კაცს გაუჩენიათ ბატები და ინდოურები. ბატი და იხვი-კი აქ ძალიან იმრავლებს, რადგანაც წყალი ბევრია.

აჭარას შუაზე ჩამოუდის ერთი მდინარე, რომელსაც „ქარიწყალი“ ეწოდება. ამის სათავე იწყება ხულის ხეობის ზემოდ, ღორჯომის მთებთან, მერე ამ წყალს ერთვის სხალტის წყალი, ტბეთისა, ჭვანისა, მერისისა და სხვ. აჭარ-წყალი სოფელ კიბესთან ჭოროხს ერთვის. ეს წყალი სასმელად შემრგოა და სხვაფრივ-კი ურგები. ადრე თურმე ამ წყლით ვენახებს რწყავდნენ, რადგანაც ძველად ვენახები მის ნაპირებზედაც ჰქონიათ. დღეს ამ ადგილების უმეტეს ნაწილში სიმინდს სთესვენ. ნათესების მორწყვა აქეთ არ იციან. დასთესვენ ყანებს, ან ჩარგვენ ხეებს და ისე გაუშვებენ, გათოხვნის მეტი სხვა არა სჭირდება, თავისით უნდა მოვიდეს ყველაფერი. მევენახეობა და ხეხილის გაშენება ამათში სრულიად დაცემულა. ამბობენ, რომ აქეთ ვაზი ძრიელ იხეირებსო. ტყეში და ნამეტურ ნავენახარისა და ნასაყდრევის გვერდით შეხვდება კაცი ბებერ ვაზს, რომელსაც მშვენივრად ასხია ყურძენი შემოდგომობით. აქა-იქ საქაჯი ქვებიც ჰყრია; მარნებით ხომ სავსეა სოფლები, უფრო ეკლესიების ახლო და ნასაყდრალ ადგილებთან.

აჭარელნი მუშაობით ძრიელ ცოტას მუშაობენ, როგორც სხვა მაჰმადიანები, წელიწადში 3—4 თვეს. აქაურის კაცის ხელები რომ ჰნახოთ, სულ ვერ შეამჩნევთ, რომ მუშა კაცის ხელებია. პირის პატივი საიმისოდ არ უყვართ და ცოტასაც სჭამენ. ამათი სადილი მჭადი და ლობიოა, ან მხალი და მცირედ ყველი. ხორცს იშვიათად სჭამენ. ჩაისა და ყავის სმა-კი უყვართ; თაფლიც დიდს პატივისცემაშია. ფუთკარი ბევრსა ჰყავს. ყაჭის ძაფსაც აკეთებენ, მაგრამ მცირედ. წყაროები საკმაოდ ბლომად არის. მადნეულსაც ხშირად პოულობენ. მადნეულები აღმოაჩინეს სოფ. ვაისს, კაპნისთავსა და კიბეში. ოხრა, უმრი და სხვა საღებავი წამალიც ხშირია.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

თავადი მეშჩრსკი სწერს თავის გაზეთში:

> მხოლოდ დღეს წავიკითხე გუშინდელი ნომერი ჩემის გაზეთისა და სამწუხაროდ წავაწყდი მოსკოვიდგან მოწერილ კორესპონდენციაში ისეთ სიტყვებს, რომელთაც სწორედ რომ გამაოცა. ჯერ ერთი, რომ ეს სიტყვები სიმართლეს არის მოკლებული და მეორეც, ჩემ-მიერ წაკითხულ კორექტურის ფურცელში ეს სიტყვები ამოშლილი იყო, და გაზეთის შეკვრის დროს სიჩქარის გამო მოჰყვა გაზეთში მეორე სარედაქციო ფურცლიდგან, და რედაქტორი-კი იმ ღამეს ავად გახდა.
>
> მე ერთის წერილის გამო მაბრალებდნენ, რომ ვითომ ძლიერა ვსწუხვარ მოსკოვის თავად-აზნაურობის განცალკევების გამო; მაგრამ მე სრულიად არა მსურს, რომ „Граж“.-ნი ნამდვილ ამბავს ამახინჯებდეს, იყოს ძველ კეთილ-მორწმუნე მოსკოვის ჭირისუფლის ორგანოდ, დაედაროს მოსკოვის ფრონდერს ან დონ-კიხოტს და ებრძოლოს არსად არ არსებულ მოწინაამღდეგეთ.
>
> ვიმეორებ, მოსკოვის კორესპონდენტის ის სიტყვები სრულიად მოკლებულია სიმართლეს.

**

გაზეთი „Пет. Вѣд.“ სწერს:

> მრავალ გვარ რთულ მიზეზებისა გამო რუსეთში კაცს ძლიერ მალე ავიწყდება სასწავლებელში მიღებული სწავლა, თითქოს იმიტომ უსწავლია კაცს, რომ რაც შეიძლება მალე დავივიწყო, რაც სასწავლებელში ვისწავლეო.

ეს ამბავი საკვირველი არ არისო, დასძენს გაზეთი „Рус. Жиз.“ რადგანაც განათლებულს კაცს იშვიათად გარს ახვევია უმეცრება და უგუნურობა. საჭიროა, ამიტომ, რომ უმაღლეს განათლების მიღება ყველასთვის იყოს ადვილი და თუ ეს შეუძლებელია, მაშინ დაარსებულ უნდა იქმნას „სახალხო უნივერსიტეტები.“

ლექცია ქ-ნ მ. მ. მანასეინისა.

„რა არის შეგნება?“ ეს არის საგანი ქ-ნ მანასეინის ორის ლექციისა, რომელთაგან პირველი 8 ნოემბერს წაიკითხა პეტერბურგის საპედაგოგო მუზეუმში. ეს ლექცია ფსიხოლოგიური გამოკვლევაა, ფიზიოლოგიაზედ დამყარებულია.

„შეგნებას“ დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაშიო, — სთქვა ქ-ნმა მანასეინისამ, — დ მოიყვანა ძველ და ახალ მწერლების აზრი შეგნების შესახებ. ზოგს ცოდნა და შეგნება ერთი და იგივე ჰგონია, ზოგს—გრძნობა და შეგნება და ზოგს შეგნება განსაკუთრებულ თვისებად მიაჩნია, რის გამოკვლევა და გაგება შეუძლებელიაო. ბერლინის ფიზიოლოგმა დუბუა-რეიმონმა ჭეშმარიტი აზრი წარმოსთქვაო, —ამბობს ქ-ნი მანასეინისა, —რომ არას გზით არ შეიძლება ვიპოვოთ ხიდი, რომელიც ადამიანის შეგნებასა და ფიზიოლოგიურს მოქმედებას აერთებდეს.

შემდეგ ქ-ნ მანასეინმა განმარტა, რა თვისებისაა, რა მნიშვნელობა აქვს რისგან წარმოსდგება შეგნება. ყოვლის მიზეზი მოძრაობაა. თუ ერთსა და იმავე ჰგრძნობ ყოველთვის, სჩანს არასფერს არა ჰგრძნობ. მაგალითად, წყალვარდნილის ხმაურობა პირველად დიდად აკვირვებს და აოცებს ადამიანს, ხოლო შემდეგ სრულიადაც აღარ არჩევენ ამ ხმაურობას ისინი, ვინც ახლო სცხოვრობენ და ყოველ დღე ძალა-უნებურად ყურს უგდებენ.

ტკივილი შეგნების შედეგია და ეს იმითიც მტკიცდება, რომ კაცი რომელსამე საგნის გამოკვლევით გართული და ღრმად ჩაფიქრებული, სრულიად ჰკარგავს გრძნობიერობას და ძლიანაც რომ ასტკივდეს რამე, ვერ გაიგებს ხოლმე. სოკრატს, როცა-კი ჰფიქრობდა რაზედმე, სრულიად ავიწყდებოდა სასმელ-საჭმელი, ძილი და ყველაფერი. კონტს რომ საფილოსოფოსო აზრები გაიტაცებდა, ეკარგებოდა გრძნობა ტკივილისა და სხ.

არა ჩვეულებრივი, ძლიერი გრძნობიარობა, ანუ შთაბეჭდილებათა სიმრავლე კაცს ღრმად ჩაფიქრების ნებას არ აძლევს.

ჩვეულებრივს, საშუალო ჭკუა-გონების პატრონს შეგნებაც ნაკლებადა აქვს და არც შეუძლიან ღრმად ჩაფიქრება. ამისათვის ყოველი ტკივილი იმის შეგნებას მიიპყრობს ხოლმე და ამ დროს აღარ შეუძლიან კარგად მოიაზროს რომელიმე საქმე და მთლად ამ მოსაზრებას მოახმაროს თვისი ჭკუა-გონება.

რუსეთი

ფინანსთა სამინისტრომ უნდა წარუდგინოს სახელმწიფო საბჭოს საკმაოდ ვრცელი პროექტი შესახებ იმისა, რომ საქმის მწარმოებელნი მოვალენი იყვნენ პენსია ანუ შემწეობა მისცენ მუშაობის დროს დაშავებულ მუშას. პროექტში სხვათა შორის მოხსენებულია: თუ ქარხნის მუშა წევრად იყო დამხმარებელ კასსისა, ანუ დაზღვეული იყო რომელსამე დამზღვევ საზოგადოებაში და ქარხნის პატრონს ფული შეჰქონდა კასსაში ან დამზღვევ საზოგადოებაში, იგი მოვალეა სრული პენსია მისცეს მუშას, ხოლო უფლება აქვს კასსიდგან ან დამზღვევ საზოგადოებიდგან მიიღოს ერთი ნაწილი პრემიისა იმ ფულის რაოდენობის მიხედვით, რომელიც შეუტანია კასსაში ან დამზღვევ საზოგადოებაში. თუ ვინიცობაა ქარხანა სხვა ახალ პატრონის ხელში გადავიდა, იგი მოვალეა აძლიოს დაშავებულ მუშას უწინდელ პატრონის მიერ დანიშნული პენსია. თუ ვინიცობაა ქარხანა დაიკეტა, პატრონი მოვალეა ექვსის წლის პენსია ერთად მისცეს დაშავებულ მუშასა.

—

მოსკოვის უნივერსიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით ამ უნივერსიტეტიდგან დათხოვნილ იქმნება 96 კაცი, რომელთაც სწავლის ფული არ შეუტანიათ. მათ შორის ყველაზედ ბევრი იურიდიულ ფაკულტეტზედ არის—42 კაცი, სამკურნალოზედ—36; ბუნების-მეტყველების ფაკულტეტზედ—8, მათემატიკისზედ—6, ისტორიისა და ფილოლოგიისზე—4.

ამ სტუდენტებისაგან 38 კაცს შეუძლებელ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებისთვის უთხოვნიათ, დაგვეხმარეთ და ჩვენის სწავლის ფული შეიტანეთ უნივერსიტეტშიო. ჯერ არავინ იცის, შესძლებს ამ დახმარებას ზემოხსენებული საზოგადოება, თუ ვერა, რადგან ამას წინად საზოგადოება უკვე დაეხმარა ზოგიერთ ღარიბ სტუდენტებს და მათი სწავლის ფული შეიტანა. თუ გინდ მართლა აღმოუჩინოს საზოგადოებამ დახმარება ზემოხსენებულ სტუდენტებს და მათი სწავლის ფული შეიტანოს, დანარჩენი 58 კაცი მაინც დათხოვნილ იქმნება უნივერსიტეტიდგან სწავლის ფულის შეუტანლობის გამო.

—

საერო განათლების სამინისტრომ წარუდგინა სახელმწიფო საბჭოს პროექტი შესახებ იმისა, რომ სტამბოლში დაარსებულ იქმნას რუსეთის საარქეოლოგიო ინსტიტუტი.

—

გზათა სამინისტრომ წარუდგინა სახელმწიფო საბჭოს პროექტი, რომლის ძალითაც სახელმწიფო რკინის გზათა მოხელეთ ყოველ თვეე ჯამაგირიდგან ფული უნდა გამოერიცხოთ, ვიდრე ამ მოხელეთათვის დაარსებულ იქმნება საპენსიო კასსა.

ინგლისის მწერლობა ფლოტის გაძლიერება

ინგლისის გაზეთი „Daily News“ სცდილობს დაამშვიდოს ხალხი, იმ ხმებით დაშინებული, რომ ინგლისის ფლოტსა და ჯარს უნდა მოვუმატოთო. ამ გაზეთში დაბეჭდილია წერილი შემდეგის სათაურით: „როგორ აშინებენ ხალხსა“.

ძნელი დასაჯერებელიაო, სწერს ზემოხსენებული გაზეთი, რომ ინგლისის ერი შეშინებულიყოს იმის გამო, რომ ჩვენი ფლოტი მცირეაო, მაგრამ ეს ამბავი მაინც ეჭვს გარეშეა. ყველა კეთილ გონიერი კაცი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ძლიერი ფლოტი საჭიროა ინგლისისთვის. შეიძლება ინგლისელნი ვერ მორიგდნენ ჰომრულის შესახებ. მაგრამ ფლოტის საჭიროებაზედ-კი კამათობა შეუძლებელია. ჩვენის შიშის მიზეზი ფრანგ-რუსთა კავშირია. ფეხს გაიდგამს ეს კავშირი, თუ არა, ეს ჩვენთვის სულ ერთია; ყოველ შემთხვევაში ჩვენ უნდა გვქონდეს ძლიერი ფლოტი, რათა ყოველთვის შეგვეძლოს პასუხი გავცეთ ამა თუ იმ მტერსა. ჩვენ მხოლოდ ის გვაშინებს, გვწყინს და გვაფიქრებს, რომ მო-

სვენებით არა ვართ, რადგანაც სულ იმას ჩავჩიჩინებენ, ფლოტსა და ჯარს უნდა მოვუმატოთო. რა თქმა უნდა, ჩვენ ფული არა გვშურს ფლოტის გასაძლიერებლად. რამდენიც უნდა დავხარჯოთ ფული, შიშის ჩამომგდებნი მაინც თავისას არ დაიშლიან.

Daily Craphic თავის მხრივ ამტკიცებს, ფლოტი უეჭველად უნ და გავაძლიეროთო. ამ გაზეთში ჩამოთვლილია რამდენი: საწყობი აქვს ნახშირისა ხმელთა შუა საფრანგეთს, რამდენი ნაღმიანი გემი, რამდენი ნავთ-სადგური და სხვა-და-სხვა მოწყობილობა.

არც ერთს ფლოტს დიდის ჯარის დაუხმარებლად არ შეუძლიან ტულონის დაპყრობაო, დასძენს ზემოხსენებული გაზეთი. მარტო საფრანგეთს 122 გემი აქვს. ინგლისს-კი საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ მხოლოდ 137 გემის გამოყვანა შეუძლიან. ასეთი გარემოება საქმისა ვერაფერი სასიამოვნოა ინგლისისათვის. ამიტომ, ზემოხსენებულ გაზეთის აზრით, საჭიროა ხმელთაშუა ზღვაზედ ინგლისმა გაჰმართოს ახალი ნავთ-სადგურები, ჯავშნიანი გემები, კრეიერები, ნაღმიანი გემები და სხვ. ესპანიას შეუძლიან დაუთმოს ინგლისს ხმელთა შუა ზღვის შესავალში მრავალი ჩინებული ადგილი ნავთ-სადგურებისა და ნახშირის საწყობებისათვის. მართალია, ეს ინგლისს ძლიერ ძვირად დაუჯდება, მაგრამ სამაგიეროდ ინგლისი საუკეთესო სიმაგრეებს ჩაიგდებს ხელში. ესპანიას-კი შეიძლება გიბრალტარი დაუთმოთ და ამით დაუმეგობრდეთ კიდეც ამ სახელმწიფოს.

◆

უცხოეთი

საფრანგეთი. მომავალ გაზაფხულს პრეზიდენტი კარნო დიდის ამალით ალჟერს წავა.

—

ინგლისი. 5 ნოემბერს შეიკრიბა მთავრობის მიერ მოწოდებული კონფერენცია, რომელსაც შეადგენდნენ მუშათა ასოციაციების დელეგატები და მადნების პატრონები. კონფერენციას თავმჯდომარეობდა ლორდი როზბერი. კონფერენციამ გადასწყვიტა დაარსებულ იქმნას შუამავალი კამერა. კამერაში იქმნება 28 კაცი, მათ შორის 14 წარმომადგენელი მადნების პატრონთაგან და 14 მუშების მხრივ. კამერის თავმჯდომარედ დაინიშნება ისეთი კაცი, რომელიც არც ერთს დაინტერესებულს მხარეს არ ეკუთვნის. თავმჯდომარეს აირჩევს ან თვით კამერა, ან არა და დანიშნავს საზოგადოებათა პალატის სპიკერი. კამერას უფლება აქვს დაადგინოს მუშებისთვის დღიურ შრომის ფასი 1894 წლის 1 თებერვლიდგან. ამ დრომდე-კი მუშებმა უწინდელ ფასად უნდა იმუშავონ. პირველი კრება შუამავალ კამერისა დანიშნულია 1 დეკემბერს.

—

ბულგარია. სოფიიდგან დეპეშით აუწყებენ Indèpendance Belge-ს, რომ 1 ნოემბერს ბულგარიის პარლამენტს საგანგებო კრება უნდა ჰქონოდა იმის გადასაწყვეტად, რომ პრინც ალექსანდრე ბატენბერგის ქვრივსა და შვილებს შემდეგშიაც 50,000 პენსია ეძლიოსო. ამას გარდა ბულგარები აპირობენ სთხოვონ პრინცის ქვრივსა, ბულგარიის გარდაცვალებულ მთავრის გვამი სოფიაში დავგამარხვინეთო.

—

იტალიის მინისტრ პრეზიდენტად ნამყოფს კრისპის ამას წინათ ულაპარაკნია საფრანგეთის ერთის გაზეთის კორესპონდენტთან შესახებ ორთა-კავშირისა:

ორთა კავშირიო, —უთქვამს ვითომ კრისპის, —მოუხერხებლად მიმაჩნია. ამაზედ დიდხანს ლაპარაკი საჭირო არ არის, რადგანაც საქმე ისეც ცხადია და დღესავით ნათელი. რუსეთის ესკადრა თავაზიანად მოიქცა და კრონშტადტის ვიზიტისთვის თავის მხრივ ვიზიტი გადაგიხადათ. ჩემის აზრით ამ ამბავს სრულებით არა ჰქვიან საგნად ევროპის საქმეთა აწინდელ მდგომარეობის შეცვლა. არა მგონია აგრეთვე, რომ ამ ვიზიტს შეეძლოს გაძლიერება ანუ შემცირება მშვიდობიანობისა. ან ვინ გაჰბედავს ომის დაწყებას? იტალია? ასეთ განზრახვას მარტო თქვენ თუ შესწამებთ იტალიას, თორემ მთელ ქვეყანაში სხვა ვერავინა. ვითომ და ძლიერ მეუფით თქვენი მოხელენი კიდევაც ჰხედავდნენ, როგორ გადადიოდა საზღვარს იტალიის ჯარი. მაგრამ მოხელენი ყველგან ერთგვარნი არიან. რა ომის სწყურია ეხლა იტალიას? საფრანგეთი არავის დაუწყებს ომსა და იტალია-კი ამ ჟამად იარაღს იყრის და სულ სხვაზედა ჰფიქრობს. გერმანია? არა მგონია, რომ გერმანიას ძლიერა სურდეს ამ სახიფათო საქმეს მოჰკიდოს ხელი და ომი დაიწყოს. ავსტრია? მაგრამ ვისთან, ან რისთვის უნდა ეომოს ეს სახელმწიფო? ან სხვა რომელ სახელმწიფოს მოუვა ფიქრად მშვიდობიანობის დარღვევა?

დავუბრუნდები ისევ საფრანგეთში რუსეთის ესკადრის მოსვლის ამბავს. ერთად-ერთი შედეგი ის მოჰყვება ამ ამბავს, რომ ინგლისი შესაფერ დონისძიებას მიჰმართავს. რა თქმა უნდა, ეს სახელმწიფო ვერ დასთმობს იმ ადგილს, რომელიც ამჟამად უჭირავს ხმელთა-შუა ზღვაში.

რაც შეეხება საფრანგეთისა და რუსეთის კავშირს, ვერ გამიგია, რაზე უნდა იყოს დაფუძნებული ეს კავშირი. რასაკვირველია, თუ ვინიცობაა ომი ასტყდა, რუსეთი დაეხმარება საფრანგეთს ელზას-ლოტარინგიის დაბრუნებაში. მაგრამ ეს-კი ვერ გამიგია, რუსეთი რას სთხოვს სამაგიეროს საფრანგეთსა. ჯერ ისევ ნაპოლეონმა სთქვა, რომ დუნია ძლიერ მსუქანი ლუკმა იქმნებოდა რუსეთისთვისაო. ეხლა საქმე დუნაიზე-კი არა, უფრომ სუქან ლუკმებზედაა. ნება მიბოძეთ კიდევ გკითხოთ, საფრანგეთს განა არაფერი დააკლდება, რუსეთი რომ გაძლიერდეს აღმოსავლეთისკენ? თქვენი პოლიტიკოსნი და ორატორნი სულ იმას გაიძახიან, დიდი საქმე მოგველის აღმოსავლეთშიო. ნუ თუ ეხლა საფრანგეთი გამოეთხოვება ამ დიდს და საპატიო საქმეს? ეს ხომ შეუძლებელია. აი სწორედ ამიტომ ვერ გამიგია, რამ უნდა დააკავშიროს საფრანგეთი და რუსეთი.

ეს კიდევ არაფერი. თქვენ, რა თქმა უნდა კარგად იცით, რომ საფრანგეთ-რუსეთის კავშირის ბედ-იღბალი დამოკიდებულია თვით რუსეთის ბედ-იღბალზედ. მერე ვინ იტყვის რასმეს გადაჭრილს რუსეთის ბედ-იღბალზედ?

მე მრწამს მომავალი ბედ-იღბალი და დიდება რუსეთისა, მაგრამ რითი გამოჩნდება ეს დიდება, არავინ იცის. რუსეთი ჯერ ნორჩი ერია. რას გვიქადის მომავალში ეს სახელმწიფო, გადაჭრით ვერ ვიტყვით და ეს საქმე უფრო გამოცდილ კაცთათვის მიგვინდვია.

რაც შეეხება ჩვენს დამოკიდებულებას საფრანგეთთან, გამოტეხილი უნდა ვსთქვა, რომ ნეაპოლის პრინცის დასწრება ლოტარინგიის აღლუმებზედ შეცდომა იყო და დიდი შეცდომაც. ჩემ დროს-კი ასეთი ამბავი არა მომხდარა-რა. თქვენ კარგად იცით, რომ 1887 წელს მეფე ჰუმბერტოს ბერლინში წავყევი. ერთხელ საღამოთი იმპერატორმა ვილჰელმმა მითხრა: „ხვალ ჩემთან სტრასბურგს უნდა წამოხვიდეთ“.

ვუპასუხე, თქვენს სურვილს მეფეს მოახსენებ მეთქი და მე თითონ-კი ბისმარკთან წავედი და გულ-ახდით ვუთხარი, რომ ჩემის აზრით, იტალიის მეფის წასვლა შეიძლება საფრანგეთს საწყინოდ დაურჩეს და ომის სურვილად მიიჩნიოს.

თავადი ბისმარკი დამეთანხმა, მეფე ჰუმბერტოც აგრეთვე და სტრასბურგს აღარ წავედით.

ეხლა საქმე ისე არ არის. ეხლა იგივე სამინისტრო, რომელმაც საფრანგეთის პატივ-საცემლად განუაში დღესასწაულები გაჰმართა, დასთანხმდა იმაზედ, რომ ნეაპოლის პრინცი მეტცის აღლუმებს დასწრებოდა. და ყველაზე უარეს-კი მე მაბრალებენ...

◆

გასართობი

—

ერთმა პოეტმა რივაროლს წაუკითხა წერილი, რომელშიაც კორნელსა და რასინს ერთმანერთს ადარებდა. წერილი ფრიად ვრცელი გამოდგა. რივაროლმა უთხრა: —„თქვენი შედარება ფრიად ვრცელია. შეიძლება უფრო მოკლე ყოფილიყო. მაგალითად ასე: ერთს ერქვა პეტრე კორნელი და მეორეს—ივანე რასინი“.

—

რამდენის ხნის სავალია კიდევ ქალაქამდე, — ჰკითხა ერთმა მგზავრმა გზაში შეხვედრილს ეზოპსა.

—იარე, უპასუხა ეზოპმა.

— ეგ ხომ უშენოდაც ვიცი, რომ უნდა ვიარო, უთხრა მგზავრმა, მე გკითხამ, რამდენის ხნის სავალია ქალაქამდე?

— იარე,-კიდევ უთხრა ეზოპმა,— და თავის გზას გაუდგა.

ახირებული კაცი ყოფილაო, იფიქრა მგზავრმა და გასწია ქალაქისკენ

— ორ საათზე ქალაქში ჩახვალ, მიაძახა ეზოპმა.

მერე რატომ ეგ წეღანვე არ მითხარიო, შეეკითხა მგზავრი.

— როგორ გეტყოდი მაგასაო, უპასუხა ეზოპმა, ვიდრე შენს სიარულს ვერა ვნახამდიო.

—

მოსკოვში ერთს სახლს ღამე ცეცხლი წაეკიდა. პოლიცმეისტერი იმ დროს მივიდა, როცა ნახევარი სახლი გადიბუქა კიდეც. გულმოსულმა პოლიცმეისტერმა უთხრა თავის ხელქვეითს:

— რა დროს გამაღვიძე? ხომ ხედავ, რა გვიან მოვედი აქა. ამიერითგან ყოველთვის ნახევარ საათით ადრე გამიღვიძე, ვიდრე სახლს ცეცხლი წაეკიდებოდეს, თორემ ვაი შენი ბრალი!

◆

უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ავსტრიელმა პროფესორმა კლდნერმა მოიგონა ახალი მანქანა პაეროსტატის სურვილისამებრ მიმართვისათვის. ეს ფრიად შესანიშნავი ნაბიჯია პაეროსტატების კეთების საქმეში. ვენის ინჟინერთა საზოგადოებამ გარდასწყვიტა ნივთიერად დაეხმაროს კლდნერს ახალ სისტემის პაეროსტატის გასაკეთებლად.

**

გამოჩენილი მხატვარი პროფესორი ნ. ნ. გე მალე გაათავებს ახალ დიდ სურათს «ჯვარცმა», რომელსაც 6 წელიწადზედ მეტისა ჰხატავდა. სურათი პეტერბურგის მორიგ გამოფენაზედ იქმნება გამოფენილი მომავალ იანვარში.

◆

გამოსადეგი ცნობა

—

როგორ უნდა შეატყოთ ტყის ხე ზამთარშია მოჭრილი თუ ზაფხულში? გამოცდილმა ხუროთმოძღვრებმა იციან, რომ ხე, ზაფხულში მოჭრილი, ისე მაგარსა და გამძლე მასალას არ იძლევა შენობისთვის, როგორც ზამთარში მოჭრილი. ამისათვის შენობის პატრონმა, ანუ საზოგადოდ ვისაც ხის მასალა სჭირდება, უნდა იცოდეს, რა დროს არის ხე მოჭრილი.

უმეტეს ნაწილად ხეს იმაზედ შეატყობდნენ ხოლმე, როდის არის მოჭრილი. განს ახლო ხის სარტყელი მოშავოა თუ მოთეთროვო. მაგრამ ამ ნიშნებით შეიძლება კაცი მოსტყუვდეს. აი საუკეთესო საშვალება:

ზამთარში ხის შუაგულში მრავლად მოგროვდება ხოლმე სახამებელი. ხოლო სახამებელს, იოდი რომ დაასხათ, მუქ-სოსან ფერს მიიღებს. გამოსაცდელ ტყის ხეს ჩამოახერხეთ თხლად ან თავი, ან ბოლო და ამ ჩამონახერხს იოდი დაასხით, სპირტში გახსნილი. თუ შუაგულს მუქ-სოსანი ფერი დაედო, სჩანს ხე ზამთარში ყოფილა მოჭრილი. და თუ ყვითლად შეიღება (თვით იოდის ფერია), მაშინ ზაფხულში მოუჭრიათ. ეს საშვალება მრავალჯერ უცდიათ და ყოველთვის ნამდვილად გამოუცვნიათ.

◆

დეპეშა

16 ნოემბერი

ბერლინი. გუშინ მოვიდა გრაფ კაპრივის სახელობაზედ ორლეანიდამ გამოგზავნილი ფიცრის ყუთი. კანცლერის ადიუტანტი, მაიორ ებშეიკერი მიხვდა, რომ ამ ყუთში „ჯოჯოხეთის მანქანა“ უნდა იყოსო და ამის წყალობით აცილებულ იქმნა უბედურება.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	7,63	7,65	— ,,
ტამოჟნის კუპონები	152½	153¼	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	— ,	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . .	— ,,	— ,,	245
—მეორისა . . .		— ,,	222¼
4% მესამე სესხისა. .	-- ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი	— ,,	— ,,	191
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა			
6%.	100	— ,,	— ,,
5%.	— ,,	99	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6%.	100	— ,,	— ,,
5%.	— ,,	99	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	97½	— ,,	— ,,

«ივერიის» ფოსტა.

—

ქუთაისს—ს. ხ. თქვენი წერილი რომ ვერ დაიბეჭდებოდა—ეს გამოგზავნამდინაც უნდა გცოდნოდათ. ჯერ ნამდვილი გარემოების ცოდნაა საჭირო და მერმე კალმის აღება ხელში, თორემ სხვა დროსაც შეიძლება ასეთი შეცდომა მოგივიდეთ, როგორც ეხლა.

◆

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათობით: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან

გამგეობა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ მე-37 ტირაჟში, რომელიც მოხდა 1 ნოემბერს 1893 წელს, გამოვიდა შემდეგი ნომრები ამ ბანკის გირავნობის ფურცელითა.

1, გირავნობის ფურცელნი, გამოცემულნი 1 იანვრამდე 1881 წლ. (1874 წ. 28 მაისის წესდების ძალით—არა ურთიერთის თავდებობით)

27½ წლით

2 სერ. 100 მ. ღირ. №№ 26, 44, 107, 123, 169.

1000 მ. ღირ. №№ 14, 71.

3 სერ. 1000 მ. ღირ. №№ 30, 33, 52, 106.

4 სერ. 500 მ. ღირ. №№ 63, 81.

11 სერ. 100 მ. ღირ. №№ 37, 191, 278.

1000 მ. ღირ. №№ 12, 17.

$43^{1}/_{2}$ წლით

6 სერ. 100 მ. ღირ. № 15.

8 სერ. 500 მ. ღირ. № 59.

9 სერ. 100 მ. ღირ. №№ 8, 160, 191.

500 მ. ღირ. № 53.

1000 მ. ღირ. №№ 23, 36.

11 სერ. 100 მ. ღირ. 84, 160.

500 მ. ღირ. №№ 9, 20.

$54^{1}/_{2}$ წლით

2 სერ. 100 მ. ღირ. №№ 31, 63.

3 სერ. 100 მ. ღირ. № 100.

1000 მ. ღირ. №№ 40, 57, 80.

5 სერ. 100 მ. ღირ. №№ 137, 142.

2, გირავნობის გამოცემულნი ფურცელნი 1881 წლის 1 იანვრიდამ (1881 წლის 17 თებერვლის წესდების ძალით—ურთიერთის თავდებობით).

$27^{1}/_{2}$ წლით

1 სერ. 100 მ. ღირ. №№ 14, 32, 48,
94, 113, 124, 127, 150.

1000 მ. ღირ. №№ 3, 8, 20, 26, 29, 31, 34, 43, 44, 45, 54, 62, 70, 79, 80, 82, 84, 85, 93, 94, 101, 104, 108, 110, 114, 120, 128, 133, 140, 142, 144, 150, 152, 181, 187, 188, 189, 206, 207, 211, 214, 224, 225, 229, 232, 236, 238, 239, 241, 242, 244, 251, 273, 275, 278, 279, 287, 305, 307, 309, 322, 325, 335, 337, 340, 346, 347, 354, 363, 364, 368, 372, 374, 376.

2 სერ. 100 მ. ღირ. №№ 281, 300, 408.

500 მ. ღირ. № 160.

1000 მ. ღირ. №№ 11, 31, 142, 148, 178, 181, 120, 233, 278, 428, 621, 668, 750, 833, 838, 855.

3 სერ. 1000 მ. ღირ. № 116.

4 სერ. 100 მ. ღირ. №№ 33, 42, 164, 192.

500 მ. ღირ. № 23.

1000 მ. ღირ. №№ 138, 167, 226.

5 სერ. 100 მ. ღირ. №№ 53, 59, 71, 137.

6 სერ. 100 მ. ღირ. №№ 17, 77, 82, 99.

8 სერ. 100 მ. ღირ. №№ 13, 53.

9 სერ. 100 მ. ღირ. №№ 5, 13, 22, 47, 48, 56, 77, 79, 81.

500 მ. ღირ. №№ 1, 14, 26, 30.

1000 მ. ღირ. №№ 5, 14, 47, 54, 57, 67, 69, 70, 71, 77.

10 სერ. 100 მ. ღირ. №№ 2, 14.

11 სერ. 100 მ. ღირ. № 9.

500 მ. ღირ. № 29.

1000 მ. ღირ. №№ 168, 272, 225, 26, 39, 46, 82, 97, 137, 147, 164, 199; 207, 222, 234, 251, 265.

12 სერ. 100 მ. ღირ. №№ 8, 17, 63.

500 მ. ღირ. №№ 22, 33.

1000 მ. ღირ. №№ 1, 5, 33, 81, 86, 90, 100, 107, 117, 119, 123, 134, 139, 154, 215, 222.

13 სერია 100 მ. ღირ. №№ 79, 226.

1000 მ. ღირ. №№ 16, 21, 38, 119, 128.

14 სერ. 1000 მ. ღირ. №№ 45, 51, 72, 86.

15 სერ. 100 მ. ღირ. №№ 4, 148, 256, 556.

500 მ. ღირ. № 73.

1000 მ. ღირ. № 258.

16 სერ. 500 მ. ღირ. №№ 22, 58, 87.

1000 მ. ღირ. №№ 8, 51, 58, 68, 84, 86, 100, 102, 108, 109, 127, 133, 149, 153, 163.

17 სერ. 500 მ. ღირ. №№ 3, 82.

100 მ. ღირ. №№ 6, 11, 36, 235, 236, 248, 412, 469, 562, 581.

18 სერ. 100 მ. ღირ. №№ 25, 26.

500 მ. ღირ. № 31.

100 მ. ღირ. №№ 31, 35, 55, 108, 122, 159, 179, 194, 201, 221, 247, 256, 270, 285, 321, 347, 442, 584, 593, 606, 706.

19 სერ. 100 მ. ღირ. №№ 6, 87.

500 მ. ღირ. № 33.

1000 მ. ღირ. №№ 38, 180, 226, 298, 324, 342, 345, 374, 382, 883, 405.

20 სერ. 100 მ. ღირ. № 145.

1000 მ. ღირ. №№ 131, 211, 219, 234, 236.

$43^{1}/_{2}$ წლით

1 სერ. 100 მ. ღირ. № 10.

1000 მ. ღირ. П№ 1, 9, 31, 33, 34, 72, 88, 129, 142.

3 სერ. 1000 მ. ღირ. №№ 14, 62, 75, 98, 99.

4 სერ. 100 მ. ღირ. № 32.

1000 მ. ღირ. №№ 5, 7, 10, 31, 39, 45, 56, 73, 80, 83.

5 სერ. 500 მ. ღირ. № 24, 31.

1000 მ. ღირ. №№ 23, 53, 69, 83, 95, 107, 117, 130.

8 სერ. 1000 მ. ღირ. №№ 150, 286, 360.

1000 მ. ღირ. №№ 31, 45, 268.

9 სერ. 100 მ. ღირ. № 36.

13 სერ. 100 მ. ღირ. №№ 9, 95, 113.

500 მ. ღირ. № 30.

1000 მ. ღირ. №№ 3, 4, 23, 37, 39.

15 სერ. 500 მ. ღირ. № 11.

1000 მ. ღირ. №№ 28, 33, 35, 41.

17 სერ. 1000 მ. ღირ. №№ 17, 28.

18 სერ. 1000 მ. ღირ. № 38.

19 სერ. 100 მ. ღირ. №№ 4, 90.

1000 მ. ღირ. №№ 30, 71, 76, 79, 85, 91, 103, 104.

20 სერ. 100 მ. ღირ. №№ 2, 45, 98, 108.

21 სერ. 100 მ. ღირ. № 45.

500 მ. ღირ. № 22.

1000 მ. ღირ. №№ 23, 36, 41.

5%-ნები:

29 წლით და 9 თვით

1 სერ. 100 მ. ღირ. №№ 20, 54.

61 წლით 8 თვით

1 სერ. 100 მ. ღირ. №№ 983, 1020.

36 წლით და 4 თვით

1 სერ. 500 მ. ღირ. № 804.

1000 მ. ღირ. №№ 97, 149, 194, 200, 221, 242, 283, 538, 582, 601, 655, 674, 798, 826, 919, 927, 982, 1020, 1029, 1065, 1076, 1083.

უვადო

100 მ. ღირ. №№ 1221, 1733, 2738, 3000, 3128, 3360.

500 მ. ღირ. №№ 156, 502, 660, 955, 1049, 1189, 1304, 1910, 2188, 2098.

1000 მ. ღირ. №№ 89, 114, 220, 306, 339, 565, 740, 874, 951, 969, 989, 1025, 1597, 1712, 1728, 1757, 1963, 2058, 2059, 2063, 2466, 2549, 2557, 2826, 3060, 3077, 3364, 3414, 3705, 3830, 3941, 4100, 4601, 4788, 4800, 4802, 4861, 4949, 5035, 5041.

გირავნობის ფურცელთა განაღდება შეიძლება: ტფილისს, ბანკის კასაში, პეტერბურგს, ს.-პეტერბურგის განაღდებისა და გამსესხებელ ბანკში, ოდესას—ბ-ნ ო. ხაისთან, ტაგანროგს,—დონის როსტოვ-აზოვ-დონის საკომერციო ბანკში და იმ ქალაქებში, საცა არის განყოფილებანი აზოვ-დონის საკომერციო ბანკისა, ხარკოვს—ქალაქის სავაჭრო ბანკში, რიგას—საბირჟო ბანკში, რეველს,—ბ-ნი მეეირ და კ-^{0}, სახელმწიფო ბანკში და მის ყოველს კანტორასა და განყოფილებაში. (1—1)

იძლევა ქირით ღვინის
სარდაფი
(პადვალი)
და
ნავთის საწყობი
მეორე თუმანიანთ ქუჩა № 1.
(1—1)

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსადეგებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენციისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—123)

გამოსადეგი ცნობანი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩაქოანი, 9—$10^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, $10^{1}/_{2}$—$11^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

ი. ფ პროტასევიჩი, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

ექიმი—ქალი **ა. მ. ტურბოვიჩი** $12^{1}/_{2}$—1 საათამდის, სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაშეტიანცი, 1—$1^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. გურკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^{1}/_{2}$ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—$7^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

„ჩიკაგო“

წინანდელი სასტუმრო „**დანია**“ გადავიტანე 1 ოქტომბრიდგან 1893 წ. მოსე არუთინოვის სახლში, კადეტის კორპუსთან, გოლოვინის პროსპექტის ახლო, ქალაქის შუაგულს, სადაც დავაარსე ახალი **მოწყობილი ოთახები** სახელად „**ჩიკაგო**“

ყველა ოთახები მშვენიერად არის მოწყობილი. სამაგალითო სისუფთავეა. მოსამსახურე ზრდილობიანია და სწრაფი. ყველაფერი წესიერია.

ფასი ოთახების

დღიურად 3 აბაზიდგან—3 მანეთამდე, თვიურად და წლობით ბევრით იაფად.

ნ. კოსკანოვი
(25—1018—14)

Открыта подписка на 1894-й годъ

На издающуюся въ гор. Ставрополѣ-Кавказскомъ общественно-литературную газету

X г. изд. **„СѢВЕРНЫЙ КАВКАЗЪ“** X г. изд.

Выходящую ДВА раза въ недѣлю и посвященную выясненію нуждъ края, названіе котораго носитъ газета.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Безъ доставки и пересылки:	р.	к.	Съ доставкой и пересылко:	р,	к.
На годъ	4	50	На годъ	5	50
— полгода	2	50	— полгода . , . .	3	—
— 3 мѣсяца	1	50	— 3 мѣсяца	1	75

(Суммы менѣе рубля можно высылать почтовыми марками).

Допускается разсрочка платежа—по соглашенію съ редакціей.

Адресъ: Ставрополь-Кавказскій, редакціи „Сѣвернаго Кавказа“.

ქალთა ტუალეტისათვის

БЕРЕЗОВЫЙ БАЛЬЗАМЪ
Д-РА ЛЕНГИЛЯ ВЪ ВѢНѢ.

იხმარება პირის-სახისა, კანისა და ხელის დასაბანად.

ამ ბალზამის მომზადების დროს ყურადღება იმასა ჰქონდა მიქცეული, რომ კანის მავნებელი წამალი არ შერეოდა.

ფასი ფლაკონისა 1 მ. 65 კ.

ბენზოევის საპნის თითო ნაჭერი 35 და 50 კ., ოპო-პომადა (კოლდ-კრემის სჯობია) 1 მან.

შეხვევა და გაგზავნა რუსეთს 70 კ., აზიაში 1 მ.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის В. Аурихъ, въ С-Петербургѣ, Колокольная, 18—19.

იშოვება ყველა სააფთიაქო და პარფიუმერიის მაღაზიებში და ზოგ აფთიაქებშიაც რუსეთში.

Доз. ценз. Тифлисъ, 16-го Ноября 1893 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე